სექტემბერი 2022

საზოგადოების განწყობა საქართველოში

2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები

ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

აგვისტოს კვლევა

- საველე სამუშაოების პერიოდი: 14 ივლისი – 15 აგვისტო, 2022;
- 2,104 დასრულებული ინტერვიუ (28% გამოპასუხება);
- საშუალო ცდომილების ზღვარი +/– 2%;
- შენიშვნა: ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა კითხვის მიხედვით;
- ახალი მონაცემების კვლევის წინა ტალღებთან შედარებისას გაითვალისწინეთ: ინტერვიუს მეთოდის ცვლილება შესაძლოა შედეგებს შორის სხვაობაზე აისახოს.

შერჩევა

- წარმომადგენლობითი შერჩევა ქვეყნის მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). ამასთან, დამატებით წარმომადგენლობითი შერჩევა თბილისში, დიდ ურბანულ დასახლებებში, პატარა ურბანულ დასახლებებში, სოფლის ტიპის დასახლებებში, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;
- დიდი ზომის ურბანული დასახლებების სტრატა მოიცავს იმ ქალაქებს, რომელთა მოსახლეობა არის 40 ათასი და მეტი. ესენია: ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი, ფოთი, გორი და ქუთაისი;
- მცირე ზომის ურბანული დასახლებების სტრატა მოიცავს ყველა დანარჩენ ქალაქსა და დაბას, რომელსაც აქვს ურბანული სტატუსი;
- ეთნიკური უმცირესობების სტრატა მოიცავს იმ დასახლებებს, სადაც ეთნიკური უმცირესობების (ძირითადად სომხური და აზერბაიჯანული) ხვედრითი წილი 40 პროცენტზე მეტია. ეს დასახლებები მდებარეობს ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.

მეთოდოლოგია

- NDI და CRRC კვლევაში იყენებს სტრატიფიცირებული და კლასტერული შერჩევის მეთოდს:
- სტრატიფიცირება – მოსახლეობის დაყოფა შედარებით ჰომოგენურ ჯგუფებად
- კლასტერინგი – თითოეული ჯგუფიდან (სტრატა) პატარა გეოგრაფიული არეალების შემთხვევითი შერჩევა
- შინამეურნეობის შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით
- რესპონდენტების შერჩევა მოხდა კიშის ცხრილის გამოყენებით
- არ ხდება შემთხვევით შერჩეული შინამეურნეობის ან პიროვნების ჩანაცვლება
- ყველა ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, 18+ ასაკის მოსახლეობასთან, სამიდან რომელიმე ენაზე: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული.

ხარისხის კონტროლი

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს

ქვეყნის მიმართულება და დემოკრატია

მოსახლეობის უმეტესობისთვის საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება

ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით ყველაზე კრიტიკულად თბილისის მცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები არიან განწყობილნი.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q1)



თბილისის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q1) მხოლოდ თბილისი



საქართველოს მოსახლეობისთვის დემოკრატია, პირველ რიგში, კანონის წინაშე თანასწორობასა და სიტყვის თავისუფლებას ნიშნავს

რას ნიშნავს თქვენთვის დემოკრატია? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა. (q8)









უმრავლესობისთვის დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება მნიშვნელოვანია



უმრავლესობა საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად არ მიიჩნევს

თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q10)



საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად, ყველაზე დიდი ალბათობით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა და ქართული ოცნების მხარდამჭერები მიიჩნევენ.

უმრავლესობის აზრით, საქართველო მეზობელი ქვეყნებისთვის სამაგალითო არ არის



ლგბტქი+ ადამიანების უფლებათა დაცვის მხარდამჭერების რაოდენობა გაიზარდა

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა შემდეგი უმცირესობების უფლებების დაცვა? (q42)



ეროვნული და ადგილობრივი დონის გამოწვევები

სამუშაო ადგილები, ფასების ზრდა და სიღარიბე კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებად დასახელდა

რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q12)



სხვა ჯგუფებთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სიღარიბე კიდევ უფრო მწვავე საკითხია. ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისგან განსხვავებით, ეთნიკურ უმცირესობებში ტერიტორიული მთლიანობა მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად არ სახელდება.

მოქალაქეების პრიორიტეტები პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით არ იცვლება.

უმრავლესობის აზრით, ბოლო 10 წლის მანძილზე, ტერიტორიულ მთლიანობასთან, სიღარიბესთან და კრიმინალთან დაკავშირებით სიტუაცია გაუარესებულია

ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q13)



2018 წელთან შედარებით, ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ ხელმისაწვდომ ჯანდაცვასთან და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუმჯობესდა

ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q13) ნაწილი 1



2018 წელთან შედარებით, ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ ხელმისაწვდომ ჯანდაცვასთან და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუმჯობესდა

ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? გაუარესდა, არ შეცვლილა თუ გაუმჯობესდა? (q13) ნაწილი 2



განათლების დაბალი ხარისხი და ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები მთავარ გამოწვევებად დასახელდა



თბილისის მოსახლეობას განათლების დაბალი ხარისხი და მასწავლებლების/ლექტორების დაბალი კვალიფიკაცია განსაკუთრებით აწუხებს

რა არის ამჟამად საქართველოში განათლების სისტემის წინაშე მდგარი სამი ყველაზე დიდი პრობლემა? (q15 X დასახლების მიხედვით) ნაწილი 1



წამლების საფასური მოსახლეობისთვის კიდევ უფრო დიდი გამოწვევა გახდა

რა არის ამჟამად ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი სამი ყველაზე დიდი პრობლემა? (q16)



წყალმომარაგება, გზები, კანალიზაცია და უსახლკარო ცხოველები ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივი დონის საკითხებად დასახელდა

რა არის კეთილმოწყობასთან/ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენს ქალაქს/სოფელს აწუხებს? (q14)



თბილისის მოსახლეობას ყველაზე მეტად გზების სისუფთავე, კომუნალური გადასახადები და უსახლკარო ცხოველები აწუხებს

რა არის კეთილმოწყობასთან/ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენს ქალაქს/სოფელს აწუხებს? (q14) მხოლოდ თბილისი.



დიდი ქალაქების მოსახლეობას განსაკუთრებულად გზების, ხოლო პატარა ქალაქების მცხოვრებლებს უსახლკარო ცხოველების საკითხი აწუხებთ.

სოფლებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებად წყლით მომარაგება, კანალიზაცია და გზები დასახელდა

რა არის კეთილმოწყობასთან/ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თქვენს ქალაქს/სოფელს აწუხებს? (q14 X დასახლების მიხედვით)



ეკონომიკა

უმრავლესობა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ცუდად აფასებს



მოსახლეობის უმეტესობას ახლა უფრო ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები აქვს, ვიდრე 5 წლის წინ



ყოველი მესამე მოქალაქე ამბობს, რომ ხშირად ოჯახისთვის საკვების საყიდლად საჭირო ფული არ ჰქონდა

ბოლო 12 თვის შესახებ თუ ვისაუბრებთ, რამდენჯერ მოხდა ისე, რომ არ გქონდათ ფული თქვენთვის ან თქვენი ოჯახისათვის საჭირო საკვების საყიდლად? (q19)



ინსტიტუტები და ლიდერები

მთავრობის საქმიანობის შეფასება უცვლელია – მოსახლეობის ნახევარი მის საქმიანობას ცუდად აფასებს



მთავრობის მიმართ ყველაზე კრიტიკულად თბილისის, სხვა დიდი ურბანული დასახლებების და ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არიან განწყობილნი

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



პრეზიდენტის საქმიანობის ნეგატიური შეფასების მაჩვენებელი გაიზარდა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას? (q4)



უმრავლესობა კვლავ ფიქრობს, რომ პარლამენტი მოსახლეობის საჭიროებებს არ პასუხობს

რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q5)



მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არც მმართველი პარტია და არც არჩეული ოპოზიციური პარტიები მოქმედებენ

14 პროცენტითაა გაზრდილი მათი რიცხვი, ვინც მიიჩნევს, რომ ოპოზიციური პარტიები ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებენ.

ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q3)



მმართველი პარტიის მიმართ ყველაზე დადებითად ეთნიკური უმცირესობებისა და სოფლის ტიპის დასახლებებში არიან განწყობილნი

ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q3 X დასახლების მიხედვით)



მმართველი პარტიის მსგავსად, არჩეული ოპოზიციური პარტიები უმცირესობების დასახლებებში შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობენ.

ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ოპოზიცია მათი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს

ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q3 X თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომი პარტია)



უმეტესობა პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q6a, q6b)



განმარტება: შერჩევა გაიყო ორ წარმომადგენლობით ჯგუფად. პირველ შემთხვევაში რესპონდენტს პარტიების გრძელი ჩამონათვალი აჩვენეს ბარათზე და პასუხი მოინიშნა ინტერვიუერმა. მეორე ჯგუფის შემთხვევაში რესპოდენტს გადაეცა პლანშეტი პარტიების უფრო მოკლე ჩამონათვალით და რესპონდენტმა თავად მონიშნა პოლიტიკური პარტია.

მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

მოქალაქეების უმეტესი ნაწილი პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

მოქალაქეების უმეტესმა ნაწილმა არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q6a)



ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, უმრავლესობა წავიდოდა არჩევნებზე



არჩევნებზე წასვლაზე უარს ყველაზე ხშირად ეთნიკური უმცირესობების დასახლებაში მცხოვრები, ასევე გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ამბობდა.

ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? (q7 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



უმრავლესობის აზრით, ქართულ პოლიტიკაში არსებული პარტიებიდან მათ ინტერესებს არცერთი არ გამოხატავს

თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში ერთი პარტია მაინც, რომელიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს? (q21)



ახალგაზრდების 65 პროცენტი ამბობს, რომ მათ ინტერესს არცერთი პოლიტიკური პარტია არ წარმოადგენს



მსგავსი პოზიცია გააჟღერეს ქართული ოცნების მხარდამჭერების 30-მა და ოპოზიციის მხარდამჭერების 37-მა პროცენტმა.

უმრავლესობის აზრით, პოლიტიკოსები და რუსეთი ქართულ საზოგადოებას ხლეჩს

თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, ის აერთიანებს საზოგადოებას თუ ყოფს მას? (q22)



რელიგია, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ევროკავშირი და ნატო - ასე გამოიყურება ქართული საზოგადოების გამაერთიანებელი ინსტიტუტების ჩამონათვალი.

ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია

პროდასავლური კურსის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაიზარდა



პროდასავლური საგარეო კურსის მხარდაჭერა ყველაზე ძლიერი ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის არის.

უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საქართველო ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე რუსეთთან ახლო ურთიერთობით

ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q27)



მცირედი ვარდნის მიუხედავად, ევროკავშირის მხარდაჭერა კვლავ მაღალია

ევროკავშირის მხარდაჭერა ყველაზე დაბალი ეთნიკური უმცირესობების დასახლებებშია.

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q23)



ევროკავშირის მხარდაჭერის მცირედი ვარდნა ყველა დემოგრაფიულ ჯგუფში არის გამოხატული

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q23)



ევროკავშირის მხარდაჭერის მთავარ მოტივად კვლავ სამუშაო ადგილები და უსაფრთხოება სახელდება

თუ მისაღებია, რატომ არის მისაღები? ღია კითხვა. (q24)
75%-დან, ვისთვისაც მისაღებია ევროკავშირში გაწევრიანება



საქართველო – ევროკავშირის ურთიერთობაზე მოსახლეობის აზრი გაყოფილია

ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან, რომელს ეთანხმებით? ბოლო ხუთი წლის მანძილზე ... (q25)



2019 წელთან შედარებით,გაზრდილია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანების ხელის შემშლელ ფაქტორად ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების ნაკლებობას ასახელებს

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა უშლის საქართველოს ხელს, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი? მაქსიმუმ სამი პასუხი (q26) ნაწილი 1



ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა სტაბილურად მაღალია



უმრავლესობის აზრით, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ყველაზე მეტად რუსეთი და ოკუპირებული ტერიტორიები უშლის ხელს



ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

უმრავლესობას სმენია ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა და განაცხადა, რომ გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიანიჭებს. გსმენიათ თუ არა ამ გადაწყვეტილების შესახებ? (q35)



ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობას (72 პროცენტი) და პატარა ურბანული დასახლებების 40 პროცენტს ამ გადაწყვეტილების შესახებ არ სმენია.

მათგან ვისაც სმენია ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საკმარისი არ გააკეთა

ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? – 62%-დან, ვისაც სმენია 2022 წლის 23 ივნისის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ (q36)



მათ შორის, ვინც მიიჩნევს, რომ მთავრობამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საკმარისი არ გააკეთა, თბილისის მოსახლეობა, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები და ოპოზიციის მხარდამჭერები ჭარბობენ.

უმრავლესობისთვის ევროპული საბჭოს რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვანია, თუმცა მოქალაქეების მხოლოდ მესამედი მოელის, რომ მთავრობა ამ პირობებს შეასრულებს

რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა თქვენთვის, რომ საქართველომ შეასრულოს ყველა ის პირობა, რომელიც ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად დაუწესა? (q37)



როგორ ფიქრობთ, შეასრულებს თუ არა საქართველოს მთავრობა ევროპული საბჭოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად დაწესებულ პირობებს? (q38)



მოსახლეობის უმრავლესობისთვის ამ პროცესში ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა მნიშვნელოვანია, თუმცა ამას ნაკლებად მოელიან

თქვენი აზრით, ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის დაწესებული პირობების შესრულების პროცესში ჩართული უნდა იყვნენ თუ არა...? (q39)



თქვენი აზრით, ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის დაწესებული პირობების შესრულების პროცესში ჩართავს თუ არა მთავრობა შემდეგ მხარეებს ...? (q40)



რუსეთი

უმრავლესობა რუსეთს საფრთხედ აღიქვამს

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ნაკლებად ამბობენ, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს.

როგორ სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს, თუ საერთოდ წარმოადგენს, რუსეთი მისი მეზობელი ქვეყნებისათვის? დიდ საფრთხეს, მცირე საფრთხეს, თუ საერთოდ არ წარმოადგენს საფრთხეს? (q31)



უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა შეზღუდოს ან ისე დატოვოს, როგორც არის

რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით: ... (q32)



რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ყველაზე მეტად მხარს კაცები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ქართული ოცნების მხარდამჭერები უჭერენ.

რუსეთის შეჭრა უკრაინაში

#SlavaUkraini

საქართველოს მოსახლეობას კვლავ სჯერა, რომ ომი რუსეთის ბრალია

თქვენი აზრით, ვისი ბრალია უკრაინაში ომი? ღია კითხვა. მაქსიმუმ სამი პასუხი (q33)



უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი უკრაინის მხარდასაჭერად საკმარისს აკეთებს

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკრაინის მხარდასაჭერად მეტის გაკეთებას ყველაზე უფრო ახალგაზრდა მოქალაქეები, თბილისის მცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები ითხოვენ.

უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის/პარლამენტის საპასუხო ქმედებებზე თუ დაფიქრდებით, თქვენი აზრით, საქართველოს მთავრობა/პარლამენტი ...: (q34–34b)



მომავალი

უმრავლესობა ეკონომიკის გაუარესებას, პრორუსული ძალების გააქტიურებას, რუსეთის სამხედრო აგრესიასა და ევროკავშირთან ურთიერთობის გაუარესებას ელის

ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში შემდეგი მოვლენები განვითარდეს? (q41)



დემოგრაფია

ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა



უფროსი ასაკის მოქალაქეებში, სოფლის ტიპისა და უმცირესობების დასახლებებში ინტერნეტის მოხმარება კვლავ შედარებით დაბალია



რელიგიურ მსახურებებს კვირაში ერთხელ მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტი ესწრება



უმრავლესობა ამბობს, რომ რუსული ენა იცის.

ინგლისურ ენას უფრო ნაკლები ადამიანი ფლობს.



რუსული ენის ცოდნა ყველაზე მაღალი თბილისში, დიდ ქალაქებსა და უფროსი ასაკის მოქალაქეებშია

ამ ბარათის მეშვეობით გთხოვთ, მითხრათ, როგორია თქვენი ცოდნის დონე რუსულში? (q48_1X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მაღალი თბილისში, დიდ ქალაქებსა და ახალგაზრდებშია

ამ ბარათის მეშვეობით გთხოვთ, მითხრათ, როგორია თქვენი ცოდნის დონე ინგლისურში? (q48_2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

- ➔ WWW.NDI.ORG/GEORGIA-POLLS
- ➔ WW.CAUCASUSBAROMETER.ORG